დღეს ნომერში:

● ექნებათ კეთილმოწყობილი სტადიონი — მე-2 გვ.

● ექს-ჩემპიონმა თავი სცნო დამარცხებულად — მე-3 გვ.

● ყოფილი „ვარსკვლავი“ ასახელებს უძლიერესებს — მე-4 გვ.

● ნიანგი „ასპარეზობს“ საწყლოსნო აუზში — მე-4 გვ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

№ 168 (2888) ● ხუთშაბათი, 26 აგვისტო, 1965 წ. ● ფასი 3 კაპ.

სპორტული საათი...

◆ **სოფია, 25 აგვისტო.** 26-29 აგვისტოს აქ ჩატარდება ევროპის ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები კალათბურთელ გოგონებს შორის. წინასწარ შეხვედრებში მონაწილე 11 გუნდიდან ფინალში გასვლის უფლება მოიპოვა 6-მა კოლექტივმა. ესენი არიან: სსრ კავშირის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის კოლექტივები.

◆ *სან-რემო, 25 აგვისტო.* იტალიის ამ ქალაქში დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციული ტურნირი, რომელშიც სხვა ქვეყნების გუნდებთან ერთად გამოდის მოსკოვის „სპარტაკის“ ახალგაზრდული კოლექტივი. ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებს პირველი შეხვედრა ჰქონდათ გფრ-ს გუნდთან. მატჩის შედეგია ფრე — 1:1.

◆ **ბუდაპეშტი,** 25 აგვისტო. უნივერსიადაში მონაწილე საბჭოთა კალათბურთელმა ქალებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები — 64:51 და ბულგარეთის გუნდთან მატჩის შედეგის მიუხედავად, მოიპოვეს პირველი ადგილი. ქალთა შორის სპორტულ ტანვარჯიშში გუნდური პირველობა წილად ხვდა უნგრეთს. საბჭოთა გუნდი მეორე ადგილზეა. პირად ჩათვლაში ჩემპიონი გახდა უნგრელი მ. დუცი. ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელმა ბერუჩევამ ვერცხლის მედალი მოიპოვა.

◆ კალინინგრადი. 25 აგვისტო. სსრ კავშირის ჩოგბურთელთა გუნდურ პირველობაში გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები. ესენი არიან მოსკოვის, რსფსრ-ს, უკრაინისა და ესტონეთის კოლექტივები.

◆ **ხარკოვი. 25 აგვისტო.** აქ დაიწყო ჩვენი ქვეყნის მორიგი პირველობა ცურვაში. გამარჯვებისთვის იბრძვის 440 სპორტსმენი. პირველი სტარტებიდან აღსანიშნავია მოსკოველ ლ. ილიჩოვის მაჩვენებელი 100 მ თავისუფალი სტილით წინასწარ გაცურვაში — 55,0.

ტურნე ლატვიაში

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თბილისის რეგბისტთა ნაკრები გუნდი საქალაქთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა ლატვიაში. პირველი შეხვედრა მათ გამართეს ქ. ლიეპაიაში. სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდა ვეფ-ის კოლექტივი. პირველი ნახევარი თბილისელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით 12 : 3. გატანილი გოლების ავტორები არიან იობაძე, შარაშენიძე და ღვინიაშვილი.

თამაშის მეორე ნახევარში მასპინძლები მატჩში გარდატეხის შეტანას ძალისმიერი თამაშით შეეცადნენ, რასაც თბილისელებმა კომბინაციური თამაში დაუპირისპირეს. ლატვიელმა მცველებმა ვერაფერი გააწყეს ქართველი სპორტსმენების წინააღმდეგ, სადაც გამოირჩეოდნენ კვინიხიძე, მგელაძე, კიზირია, კორნეევი და აროიანი. მსაჯის საფინალო სასტვენმა აღნიშნა 19:6 სტუმრების სასარგებლოდ.

თბილისელი სპორტსმენები მეორე შეხვედრას გამართავენ რიგაში „დაუგავას“ გუნდთან.

„სიჭაბუკის თასზე“

ფეხბურთში საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზის გათამაშების (მას სხვაგვარად „სიჭაბუკის თასს“ უწოდებენ) მეორე კალენდარულ ტურში საქართველოს ნაკრები შეხვდა რსფსრ-ს. ეს მატჩი გაიმართა მოსკოვის მახლობლად ქალაქ სტუპინოში. დაძაბული ბრძოლა ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელებმა მოიგეს ანგარიშით 2:1 (აღსანიშნავია, რომ პირველი მატჩი საქართველოს ჭაბუკებმა ასეთივე ანგარიშით წააგეს მოსკოვის ნაკრებთან).

საქართველოს გუნდი განმეორებით შეხვედრებს მოსკოვისა და რსფსრ-ს ფეხბურთელებთან თბილისში ჩაატარებს.

ერმოლოვა — სამი ფინალის მონაწილე

UNIVERSIADE 1965

ბუდაპეშტი, 25 აგვისტო. წარმატებით მიმდინარეობს უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. წყალბურთელთა ასპარეზობაში უკვე მეოთხე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ამჯერად მათ დაამარცხეს ინგლისის გუნდი — 6 : 0 და გავიდნენ ფინალში, სადაც ალბათ შეხვდებიან მასპინძლებს — უნგრელ წყალბურთელებს.

ვაჟთა შორის კომბინირებულ ესტაფეტაში 4×100 მ ფინიშთან პირველი იყო აშშ-ის გუნდი — 4.03,9. მეორე ადგილი დაიკავეს საბჭოთა მოცურავეებმა — 4.05,0. ვ. მაზანოვმა თავისი ეტაპი ზურგზე ცურვაში 1.08,0-ში დაფარა, რაც სსრ კავშირის ახალი რეკორდია. ვერცხლის მედალი დაისაკუთრა ს. ბელიც-გეიმანმა 1500 მ თავისუფალი სტილით ცურვაში—17.17,8. ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თავისუფალი სტილით 4×100 მ ესტაფეტაში. აქ ყველას აჯობეს მასპინძლებმა — 4.21,8. მეორე საპრიზო ადგილზეა ინგლისის (4.27,9), მესამეზე — საბჭოთა გუნდი (4.31,1).

ჩოგბურთელთა შეჯიბრების ფინალში გავიდა ჩვენი ქალთა წყვილი — ი. ერმოლოვა — ლ. ხაზონოვა, რომელიც გადამწყვეტ შეხვედრას ჩაატარებს იტალიელებთან (რიდლი—გობო). ერთეულთა ფინალში ი. ერმოლოვა შეხვდება რიდლის და შემდეგ შერეულ წყვილთა ფინალში თ. ლეიუსთან ერთად გამოვა. უძლიერესთა ოთხეულში გავიდა საბჭოთა ჩოგბურთელი თ. ლეიუსი. იგი გააგრძელებს ბრძოლას უნივერსიადის უძლიერესი ჩოგბურთელის სახელისთვის.

საბჭოთა რაპირისტმა ქალებმა მოუგეს პოლონეთისა და იტალიის სპორტსმენებს და უნგრეთის, რუმინეთისა და საფრანგეთის გუნდებთან ერთად ფინალურ ოთხეულში მოხვდნენ. მაგრამ აქ ჩვენმა სპორტსმენებმა განიცადეს დამარცხება უნგრელებთან შეხვედრაში — 5 : 9, რუმინელებმა დაამარცხეს ფრანგები და გავიდნენ ფინალში, სადაც გადამწყვეტ შეხვედრას ჩაატარებენ უნგრელ მოფარიკავეებთან.

წყალში მხტომელთა შეჯიბრებაში (კოშკი) შეუდარებელნი იყვნენ ამერიკელები, რომლებმაც სამივე საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს. საბჭოთა სპორტსმენები მ. საფონოვი და ვ. რუსაკოვი შესაბამისად IV და V ადგილებზე გამოვიდნენ.

კარგად იბრძვიან საბჭოთა ფრენბურთელები. ვაჟებმა მოუგეს ბელგიელებს — 3 . 0, ხოლო შემდეგ სძლიეს ძლიერ მეტოქეს — ჩეხოსლოვაკიელებს — 3 : 1. ქალებმა დაამარცხეს რუმინელები — 3 : 0.

წარმატებით გამოდიან საბჭოთა კალათბურთელებიც. ვაჟებმა მოუგეს ბულგარელებს — 82 : 57, ხოლო ქალებმა — უნგრელებს—73:43. ტანმოვარჯიშე ქალებს შორის ორი იარაღის (ორძელისა და ბჯენით ხტომების) შემდეგ წინაა მოსკოველი გ. ბერუჩევა — 19,20 ქულა. საბჭოთა რაპირისტი ვაჟები დამარცხდნენ გფრ-ის მოფარიკავეებთან — 5 : 9. აქ გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: საფრანგეთი, რუმინეთი, გფრ.

გუშინ...

● *კიოლნი.* ერთი თვის შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები სტოკჰოლმში მსოფლიო პირველობის საპასუხო შესარჩევ მატჩს ჩაატარებს შვეციის გუნდთან. შეხვედრა გადაწყვეტს, თუ ვინ ითამაშებს ლონდონის ტურნირში. მანამდე კი გფრ-ს ფეხბურთელები საერთაშორისო მატჩში ითამაშებენ სსრ კავშირის მეორე ნაკრებთან. გფრ-ს გუნდში გამოვლენ ცნობილი ფეხბურთელები: მეკარე ტილკოვსკი, ნახევარმცველი შიმანიაკი, თავდამსხმელი ზეელერი და სხვები. საბჭოთა და გერმანელი ფეხბურთელები ერთმანეთს შეხვდებიან 1 სექტემბერს ქ. კიოლნში.



ოსლოში, „ბიშლეტის“ სტადიონზე, ამას წინათ გაიმართა ევროპის თასის გათამაშების ნახევარფინალი მძლეოსნობაში ვაჟთა გუნდებისთვის. მონაწილეობდნენ ბელგიის, უნგრეთის, საბჭოთა კავშირის, ფინეთის, საფრანგეთისა და ნორვეგიის გუნდები. გამარჯვება და მასთან ერთად ფინალის „საგზური“ მოიპოვეს სსრ კავშირისა და საფრანგეთის გუნდებმა. სამხტომში და 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში კარგად გამოვიდნენ საბჭოთა სპორტსმენები ა. ზოლოტარიოვი და ვ. კუდინსკი, რომლებმაც პირველი ადგილები დაიკავეს.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ—3.000 მეტრზე წინაღობებით რბენის მომენტი. წინაა გამარჯვებული ვ. კუდინსკი. მარჯვნივ — ა. ზოლოტარიოვი ხტომის დროს.

ფოტო ნტბ-საკდეხისა.

მწვრთნელთა დასახმარებლად

სიახლე ტანვარჯიშში ნორჩთა აღზრდაში

სპორტულ პრაქტიკაში გამოყენებულია რიგი მეთოდები, რომელთა საშუალებით ვარჯიშის შესრულებისას სპორტსმენი ნაკლებად იღლება და ამით შესაძლებლობა ექმნება ვარჯიშის მრავალჯერ განმეორებისათვის. კერძოდ, ამას აღწევენ მუშაობისა და დასვენების რაციონალური შერწყმით, რაზეც დღეისათვის დაფუძნებულია ფართოდ გავრცელებული ინტერვალური წვრთნა და მთელი რიგი სხვა მეთოდები.

ერთ მეცადინეობაში ვარჯიშის დიდი რაოდენობით განმეორების უზრუნველსაყოფად წამოყენებული იქნა სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად, რბენა დაღმართ ბილიკზე სპრინტერებისა და სიგრძეზე მხტომელთათვის, ხელოვნური ქაჩვის გამოყენება მოკლე მანძილებზე რბენის დროს, უკუპედალირება ველოსპორტში და სხვ.

ტანვარჯიშული ვარჯიშების (კერძოდ — ტაიჭზე) მრავალჯერ განმეორების უზრუნველსაყოფად ჩვენ რამდენადმე განსხვავებული გზა — სახელდობრ, ტანმოვარჯიშის საკუთარი წონის ხელოვნური შემსუბუქება — შევარჩიეთ. ეს შემამსუბუქებელი მოწყობილობა რთული არ არის. იგი შედგება აკრობატული ქამრისაგან, რომელზე მობმული თოკი გადაკიდებულია ჭერზე მიმაგრებულ ჭოჭონაკებზე; თოკის მეორე ბოლო ებმება სიმძიმეებს. ტაიჭზე ვარჯიშის წინ სპორტსმენი წელზე ირტყამს აკრობატულ ქამარს და სიმძიმეების მოქმედების ძალით ხდება მისი წონის შემსუბუქება. ასეთი პირობები აადვილებს ტაიჭზე ვარჯიშს და სპორტსმენს საშუალებას აძლევს შეასრულოს მისთვის უცხო, ისეთი ვარჯიშებიც კი, რომლებსაც იგი შემსუბუქების გარეშე ვერ შეასრულებდა.

ვარჯიშთა სწავლების ჩვენ მიერ წამოყენებული მეთოდის უპირატესობისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზანშეწონილობის დადგენის მიზნით, ჩავატარეთ ვრცელი პედაგოგიური ექსპერიმენტი.

დაკვირვებას ვახდენდით 70 მომეცადინეზე, რომლებიც ჭაბუკთა მეორე თანრიგის ჩასაბარებლად ემზადებოდნენ. წინასწარ შემოწმებულ იქნა მათი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება, რის საფუძველზე მომეცადინეები დაიყვნენ თანაბარი მომზადების მქონე ორ ნაწილად: საკონტროლო ჯგუფებად — 35 ბავშვის შემადგენლობით და საცდელ ჯგუფებად — ასევე 35 ბავშვის შემადგენლობით. ბავშვთა ასაკი 12-13 წლით განისაზღვრებოდა.

საკონტროლო ჯგუფებისთვის მეცადინეობები ტარდებოდა ჩვეულებრივი მეთოდით. ტაიჭზე ვარჯიშის გარდა, ასეთივე მეთოდით ეწყობა მეცადინეობები საცდელი ჯგუფებისთვისაც ყველა იარაღზე; ტაიჭზე კი ისინი გამოდიან ჩვენს მიერ წამოყენებული მეთოდით. მასში ძირითადია შემამსუბუქებელი სიმძიმის შერჩევისა და მისი თანდათანობით დაკლების ფაქტორი.

საწყის შემამსუბუქებელ სიმძიმედ (რომელიც გამოყენებულ იქნა პირველ მეცადინეობაზე) აღებული იყო 12 კგ. ამ შემამსუბუქებელი წონის გამოყენებით ცდის პირები მეცადინეობდნენ სამთვენახევრის განმავლობაში; ვარჯიშები, რომელსაც ისინი (და, აგრეთვე, საკონტროლო ჯგუფებში მომეცადინეები) სწავლობდნენ, ძირითადად აღებული იყო ჭაბუკთა მეორე სათანრიგო ნორმატივებიდან. სწავლების პროცესში მეცადინეობა რომ უფრო სახალისო და საინტერესო ყოფილიყო, ამ ვარჯიშებს ხშირად ვუმატებდით დამწყები ტანმოვარჯიშისათვის ხელმისაწვდომ სხვადასხვა ილეთს. ყველა ამ ვარჯიშის ათვისების შემდეგ, რასაც 3,5 თვე მოუნდა, გადავედით შემამსუბუქებელი წონის თანდათანობით შემცირებაზე (მომეცადინეები ასრულებდნენ იგივე ვარჯიშებს, ოღონდ ნაკლები შემამსუბუქებელი წონით). წონის ყოველი დაკლება ხდებოდა 2-3 მეცადინეობის შემდეგ, 1-2 კგ-ის ოდენობით. ეს პროცესი გაგრძელდა ორთვენახევრის განმავლობაში. შემდეგ ტაიჭზე მეცადინეობას განაგრძობდნენ ჩვეულებრივ პირობებში — შემამსუბუქებელი მოწყობილობის გარეშე.

ასე დასრულდა ტაიჭზე ვარჯიშთა სწავლების ჩვენს მიერ წამოყენებული მეთოდის ეფექტურობის შემოწმებისადმი მიძღვნილი სასწავლო-საწვრთნელი პროცესი. 1964 წლის მაისში ჩატარდა ქუთაისის მოსწავლეთა XVI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ტანვარჯიშში. მასში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ცდის ყველა პირმა (70-მა ბავშვმა). ქვემოთ მოგვყავს ამ შეჯიბრების შედეგები საშუალო ქულებში (იხ. ცხრილი).

უდავოა, რომ შეჯიბრების ეს შედეგები დამაჯერებლად მეტყველებს ტაიჭზე ვარჯიშთა სწავლების ჩვენს მიერ წამოყენებული მეთოდის ეფექტურობაზე და პრაქტიკაში მისი დანერგვის მიზანშეწონილობაზე.

დ. ჟვანია,

საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

სახეები

ჯგუფები	თავისუფ. ვარჯიში	ცხენი	ტაიჭი	ორძელი	რგოლები	ხტომა
საკონტროლო	7.74	5.11	6.56	6.91	7.65	7.95
საცდელი	7.93	5.33	8.26	7.61	7.24	7.42
სხვაობა	+0.19	+0.22	+1.7	+0.7	—0.41	—0.53



სურათზე: მხატვარ ლ. ბურდულის ნამუშევარი „ვაჟა გორში ესწრება ჭიდაობას".

ამოცანა — ფსიქოლოგიური მომზადება

ვინ არ იცის, რომ შეჯიბრებაში სპორტსმენის წარმატება ძირითადად განპირობებულია მისი ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონით. შეჯიბრების მსვლელობისას სპორტსმენი ისწრაფვის მაქსიმალურად გამოავლინოს წვრთნის პროცესში გამომუშავებული ჩვევები. მაგრამ ამ ამოცანის განხორციელება, ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების ზეგავლენის გამო, ყოველთვის როდია შესაძლებელი. შეჯიბრების მონაწილე ხშირად უძლურია გაერკვეს ბრძოლის რთულ ვითარებაში, ანალიზი გაუკეთოს და დაადგინოს თავისი და მოწინააღმდეგის ძლიერი და სუსტი მხარე, დროზე ჩაწვდეს დაშვებული შეცდომების არსს და სწრაფად გამონახოს შეჯიბრების სწორად წარმართვის გზა. სპორტულ პრაქტიკაში ცნობილია შემთხვევები, როცა ფიზიკურად, ტექნიკურად და ტაქტიკურად მომზადებული გუნდი ვერ ავლენს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს და მარცხდება შედარებით სუსტ მოწინააღმდეგესთან. რა არის ამის მიზეზი? — სუსტი ფსიქოლოგიური მომზადება.

სწორედ სპორტსმენთა ფსიქოლოგიური მომზადების საკითხებს მიეძღვნა მეხუთე საკავშირო კონფერენცია, რომელიც ამას წინათ ჩატარდა ვოლგოგრადში. მასში მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის, ბულგარეთის და პოლონეთის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტები. საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა პ. ა. რუდიკმა, ა. ც. პუნიმ, დოცენტებმა ი. ი. პალაიმამ, ო. ა. ჩერნიკოვამ, ვ. მ. პისარენკომ, ფ. ა. გრებაუსმა, გ. მ. გაგაევამ და სხვებმა. სულ წაკითხულ იქნა 72 მოხსენება. ჩვენი რესპუბლიკა წარმოდგენილი იყო ამ სტრიქონების ავტორით (რომელმაც წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სპორტულ შეჯიბრებაში სეკუნდირების (მწვრთნელის სიტყვიერი ზემოქმედების) ფსიქოლოგიისათვის"). მიუხედავად იმისა, რომ სეკუნდირებას სპორტის მთელ რიგ სახეობებში მიმართავენ (კრივი, სპორტული თამაშები და სხვ.), იგი ჯერ კიდევ შეუსწავლელია. როგორც ჩვენი გამოკვლევით დადგინდა, ბევრი მწვრთნელი სათანადოდ ვერ ითვალისწინებს შეჯიბრების წინ ან შესვენებაზე სეკუნდირების შესაძლო გავლენას სპორტულ შედეგებზე.

რეკორდებისათვის ბრძოლამ მთელ მსოფლიოში გამოიწვია წვრთნის მეთოდების შეცვლა, თანამედროვე რეკორდები ჯერ კიდევ ვერ ასახავენ ადამიანთა განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. ამ შესაძლებლობების გამოვლინებისთვის წვრთნის სხვა მეთოდთა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიური მომზადების სრულყოფას. სპორტულ პრაქტიკაში ცნობილია, რომ მწვრთნელი სიტყვის დახმარებით ხელს უწყობს სპორტსმენებში სასურველი ფსიქოლოგიური მდგომარეობის აღმოცენებას. ასეთი სახის ზემოქმედების საფუძვლად შთაგონება უნდა ვიგულისხმოთ. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სპორტსმენებისათვის თვითშთაგონებასაც, რომლის განვითარებაც აუტოგენური წვრთნის საშუალებით არის შესაძლებელი. სპორტული ფორმის გაუმჯობესების მიზნით აუტოგენური წვრთნის მეთოდები მუშავდება გდრ-ში, ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში. პოლონელმა მეცნიერმა როტკევიჩმა გვიჩვენა აუტოგენური წვრთნის მეთოდიკის განხორციელების მაგალითი, რამაც კონფერენციის მონაწილეთა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა. დოქტორმა როტკევიჩმა ვოლგოგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის დარბაზში 5 ტანმოვარჯიშე საგანგებო პოზაში დააწვინა ტანვარჯიშულ ხალიჩაზე. ინსტრუქტირების შემდეგ მათთან ჩაატარა საუბრის სეანსი, რომელიც დაახლოებით 15-20 წუთს გაგრძელდა. ტანმოვარჯიშეთა ამოცანა იყო მოესმინათ და გულმოდგინედ შეესრულებინათ ის, რასაც ცდის ხელმძღვანელი ეუბნებოდა მათ. სეანსის დამთავრების შემდეგ გამოირკვა, რომ უმრავლესობას ჩაეძინა. ხოლო ყველა ერთხმად აღნიშნავდა: მიუხედავად მომქანცველი ვარჯიშისა, დაღლილობას არ ვგრძნობთ და კარგ გუნება-განწყობილებაზეც ვართ.

როგორც როტკევიჩმა განაცხადა, მის მიერ მოდიფიცირებული წვრთნის აუტოგენურ სისტემას იყენებდა თითქმის ყველა პოლონელი ოლიმპიელი, რომლებმაც ტოკიოს თამაშებში მიიღეს მონაწილეობა.

აღსანიშნავია, რომ როტკევიჩი იცნობს ქართული ფსიქოლოგიური მეცნიერების მიღწევებს და სურვილი გამოთქვა მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს ქართველ კოლეგებთან.

გ. დვალი,

პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

კოლექტივი ძალას იკრებს

ქარხანა „მიკროძრავას" ფიზკულტურული საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ჯონჯოლიანმა ფეხდაფეხ დამატარა საამქროები, ტერიტორიაზე არსებული სპორტული ბაზები. გზადაგზა ვსაუბრობდით კოლექტივის ავ-კარგზე, რომელიც ერთხანს ჩამორჩენილთა რიგებში იყო და დირექტორის თ. ჯვარშეიშვილის, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების მონდომებისა და ხელშეწყობის წყალობით თავი დააღწია „აუტსაიდერის" მდგომარეობას. ნაკლი თანდათან გამოსწორდა, შეიქმნა გუნდები, დაიწყო შიდასაკოლექტივო ღონისძიებანი. პირველმა ნაბიჯებმა დადებითი გავლენა იქონია სხვებზე — ნელ-ნელა აიყოლია ისინი და მალე აშკარა გახდა, რომ არსებული ბაზები და ინვენტარი მოთხოვნებს ველარ დააკმაყოფილებდა.

და აი, კოლექტივი დაირაზმა. სახალხო მოლაშქრეებს სათავეში ჩაუდგა ქარხნის ხელმძღვანელობა. სამუშაოდან თავისუფალ დროს აქ ატარებდა ხალხი და რამდენიმე თვეში სპორტთამაშების მოედნებიც მზად იყო. მათი საზეიმო გახსნა ამას წინათ, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მოეწყო. ახლა ნაყოფიერად მუშაობენ ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის სექციები. თითქმის ყველა საამქროსთან არის გუნდები. სექტორების უქონლობის გამო მძლეოსნები ჯერჯერობით თეორიულ კურსს გადიან კომუნისტური შრომის დამკვრელის ნ. უშაკოვას ხელმძღვანელობით. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ იქვე გვერდით არსებული სპორტკლუბ „განთიადის" სტადიონი უქმად ცდება.

— გადაიხადეთ იჯარა და ინებეთ! — უთხრეს მიკროძრაველებს. ორივე კოლექტივი კი ერთ საზოგადოებაში შედის.

ქარხანაში ამჟამად მიმდინარეობს შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია სპორტის 10 სახეობა. დამთავრდა შეჯიბრებები ფეხბურთში, შაშში და მაგიდის ჩოგბურთში. შესაბამისად გაიმარჯვეს პირველი საამქროს, შემკეთებელ-მექანიკური და ამწყობი საამქროს გუნდებმა. ამ უკანასკნელის მაგიდის ჩოგბურთელთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა პირველთანრიგოსანმა ა. აიდინოვმა, რომელიც „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს ნაკრებში შედის.

გრძელდება შეჯიბრებანი სროლაში, ცურვასა და ხელბურთში. სულ სპარტაკიადაში, როგორც აქ ვარაუდობენ, 500-მდე ფიზკულტურელი მიიღებს მონაწილეობას.

მიკროძრაველები მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობის სწორ გზაზე დგანან, საჭიროა მხოლოდ კურსის შენარჩუნება და ისინი მალე 26 კომისრის სახელობის რაიონის მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების რიგში ჩადგებიან.

ვ. ბუკინი.

ფიზკულტურის კოლექტივებში

ტრადიცია ფრთებს შლის

იქნება ახალი სპორტული ბაზები ქარელში

თავის დროზე ქარელის რაიონის ბევრმა მოჭიდავემ თავისი მაღალი ოსტატობით რესპუბლიკის გარეთაც გაითქვა სახელი, გვყავდა ძლიერი ფეხბურთელებიც. მაგრამ მესამე წელია ქარელის სტადიონზე აღარც მაყურებელი უნახავთ და აღარც ფეხბურთის მატჩი. თვით სტადიონი კი გაიძარცვა და პირუტყვთა სასაპარეზოდ იქცა. არავინ ჩანდა პატრონი. გულხელდაკრეფილი ახალგაზრდობა „შურის თვალით" კითხულობდა გაზეთებში სხვა რაიონების სპორტული მიღწევების შესახებ.

ქარელის კვლავ რაიონულ ცენტრად გახდომის შემდეგ, ხმა გავარდა სტადიონის მშენებლობა გადაწყვიტესო. მართლაც, მოედანს ნანგრევები მოაცილეს, საძირკველიც გამოჩნდა და ალბათ ჩქარა ქარელს კეთილმოწყობილი სტადიონიც ექნება. ახლახან სოფელ ზღუდრის ახალგაზრდობამ გადახნული სპორტმოედნის სამაგიეროდ ახალი ნაკვეთი მიიღო.

გამოიღვიძა რაიონის სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" საბჭომ, რომელსაც სპორტის დიდი ქომაგი და გულშემატკივარი მ. ხარატიშვილი ხელმძღვანელობს. „კოლმეურნის" რაისაბჭომ ორგანიზებულად ჩაატარა სოფლის სკოლების პირველობა მძლეოსნობაში, სადაც გამარჯვებულები ბრეთელები გამოვიდნენ. ამას მოჰყვა რაისაბჭოს პირველობა ფეხბურთსა და ჭიდაობაში.

შემდგომში სპორტული ცხოვრება ქარელში უფრო ხალისიანი გახდა: ჩატარდა შეჯიბრება „კოლმეურნის" გარდამავალ თასზე ფეხბურთში რაიონის სოფლების გუნდებს შორის. ფინალში ქარელისა და სოფელ ქვემო ხვედურეთის გუნდები გავიდნენ. ფინალური ბრძოლა ქარელელთა გამარჯვებით (6 : 1) დამთავრდა და თასიც მათ გადაეცათ.

ერთი შეხედვით თითქოს კეთილი ტრადიცია აღსდგა, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა სისხლსავსე გახდა, მაგრამ ჯერ კიდევ მთელ რიგ სოფლებში ნაკლებად ზრუნავენ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ახალგაზრდობის ჩაბმაზე. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა, რომ საფეხბურთო თასისათვის ბრძოლაში გუნდები არ გამოიყვანეს ისეთმა დიდმა სოფლებმა, როგორიც არიან: რუისი, ურბნისი, ახალსოფელი, ბრეთი, მოხისი და სხვები.

უკანასკნელ ხანს რაიონში სპორტული მუშაობის გაშლის მიზნით ცოტა როდი გაკეთდა. თუ ასე გაგრძელდა, გაისისათვის ალბათ კეთილმოწყობილი სტადიონიც გვექნება, დაოსტატდებიან ფეხბურთელები, მძლეოსნები, მოჭიდავენი... და უთუოდ ჩვენი რაიონიც თავის წვლილს შეიტანს რესპუბლიკის სპორტული წარმატების საქმეში.

გ. ვექოშვილი.

ქარელი.

საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

● „მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 2:0. მსაჯი მ. თოროზაშვილი (რუსთავი).

მიუხედავად იმისა, რომ სახიფათო მომენტები მრავლად იქმნებოდა ორივე გუნდის კართან, პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. მხოლოდ 51-ე წუთზე გაიტანეს მასპინძლებმა პირველი გოლი და მცირე ხანს შემდეგ კარგად რეალიზებული 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით განიმტკიცეს გამარჯვება.

● „სამეგრელო“ (ზუგდიდი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 1:1. მსაჯი ა. კილაძე (თბილისი).

მატჩი უინტერესო გამოდგა. ორივე გუნდის მოთამაშეები ხშირად უშვებდნენ ტექნიკური ხასიათის შეცდომებს, თამაშობდნენ ნელ ტემპში. ზუგდიდელთა მიერ პირველ ტაიმში გატანილი გოლი „განთიადმა“ გაქვითა და ფრედ დაამთავრა თამაში — 1:1.

● სკა (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:2. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

სტუმრებმა სწრაფი, ტემპიანი იერიშებით დაიწყეს თამაში, მაგრამ პირველი ბურთი სწორედ მათ კარში იქნა გატანილი. ამ გოლის შემდეგ არმიელები უკეთ თამაშობდნენ და მალე „მესხეთის“ კარში აღმოჩნდა მეორე ბურთიც. ბრძოლის სიმწვავე დარჩენილ დროში არ დამცხრალა და გამარჯვება თბილისელებს დარჩათ მინიმალური განსხვავებით — 3:2.

● „თოლია“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 4:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

დასაწყისში ინიციატივა რკინიგზელებს ჰქონდათ, რომლებმაც გახსნეს კიდეც ანგარიში. მაგრამ „ლოკომოტივმა“ ვერ შეძლო ამ უპირატესობის შენარჩუნება. შემდგომში „თოლიამ“ საფუძვლიანი გარდატეხა შეიტანა თამაშში და დაამარცხა მოწინააღმდეგე საგრძნობი განსხვავებით — 4:1.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „წინსვლა“ (წულუკიძე) 3:0. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ჭიათურელ ფეხბურთელთა უპირატესობა ნათელი იყო პირველივე წუთებიდან. გუნდი მოქმედებდა ინიციატივიანად, ხშირი შეტევით და წულუკიძელთა დაცვას სრული დატვირთვით მოუხდა თამაში. გაიმარჯვა „მაღაროელმა“ — 3:0.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „ცისკარი“ (ცხაკაია) 1:1. მსაჯი ო. ჯანგველაძე (თბილისი).

მასპინძელთა თავდამსხმელებმა პირველ ტაიმში ვერ შეძლეს რამდენიმე ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. მართალია, მათ ბურთი გაიტანეს 64-ე წუთზე, მაგრამ როცა მიმდინარეობდა შეხვედრის ბოლო წუთი, სტუმრებმა შეძლეს თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის — 1:1.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სინათლე“ (თბილისი) 1:1. მსაჯი გ. ვაჩირიძე (თბილისი).

პირველი ბურთი გატანილ იქნა სტუმრების მიერ. ეს გოლი ზესტაფონელებმა გაქვითეს შესვენებამდე და შემდგომში ცვლილება ანგარიშში აღარ მომხდარა — 1:1.

* * *

ლანჩხუთის „გურია“ სათამაშოდ არ ჩავიდა გორში, რისთვისაც მას წაგება ჩაეთვალა.

* * *

მეორე ჯგუფი. I ზონა: „დურუჯი“ (ყვარელი) — „ნადიკვარი“ (თელავი) 1:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „კოლმეურნე“ (მარნეული) 2:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „კახეთი“ (ველისციხე) 3:1, „სამცხე“ (აწყური) — „ირისტონი“ (ცხინვალი) 1:1, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ქართლი“ (გორი) 2:1.

II ზონა: „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „კოლხიდა“ (ხობი) 2:2, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — გალის გუნდი 1:2, „სამგურალი“ (წყალტუბო) — „ცისკარა“ (ბათუმი) 1:2, „ჭიხურა“ (საჩხერე) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) 0:0, „სულორი“ (ვანი) — „დინამო“ (ქუთაისი) 2:1.

ზონალური თამაშები. VII ზონა: ახმეტა — წითელწყარო 1:2, სიღნაღი — თელავი 2:0, ლაგოდეხი — საგარეჯო 1:4. VIII ზონა: დმანისი — თეთრი წყარო 2:1; დუშეთის გუნდს გამარჯვება ჩაეთვალა ბოლნისთან.

გათამაშების ცხრილები

I ჯგუფი

მდგომარეობა 28 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დილა“ (გორი)	19	12	2	5	28—14	26
„მესხეთი“ (ახალციხე)	19	10	5	4	25—14	25
„თოლია“ (თბილისი)	18	7	9	2	34—19	23
„შუქურა“ (ქობულეთი)	19	7	9	3	34—28	23
ს.კ.ა (თბილისი)	20	6	10	4	39—26	22
„გურია“ (ლანჩხუთი)	18	8	6	4	27—18	22
„ცისკარი“ (ცხაკაია)	19	6	8	5	22—20	20
„სინათლე“ (თბილისი)	17	5	9	3	25—21	19
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	21	5	9	7	22—23	19
„მეშახტე“ (ტყვარჩელი)	19	7	4	8	18—27	18
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	20	5	7	8	21—21	17
„წინსვლა“ (წულუკიძე)	20	5	6	9	23—41	16
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	17	6	3	8	23—24	15
„სამეგრელო“ (ზუგდიდი)	19	3	9	7	14—25	15
„ბახმარო“ (ჩოხატაური)	18	2	9	7	15—26	13
„განთიადი“ (ბორჯომი)	18	4	5	9	18—30	13
„მერცხალი“ (მახარაძე)	17	4	4	9	19—28	12

II ჯგუფი

I ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ბახტრიონი“ (ახმეტა)	14	8	3	3	21—14	19
„ქართლი“ (გორი)	13	8	2	3	23—15	18
„ჰერეთი“ (ლაგოდეხი)	15	8	2	5	22—20	18
„ირისტონი“ (ცხინვალი)	14	6	4	4	20—18	16
„ისანი“ (თბილისი)	13	4	7	2	21—14	15
„მეტალურგი“ (რუსთავი)	14	5	4	5	18—23	14
„კოლმეურნე“ (მარნეული)	14	5	3	6	21—21	13
„დურუჯი“ (ყვარელი)	12	5	1	6	17—13	11
„ნადიკვარი“ (თელავი)	13	5	1	7	21—22	11
„სამცხე“ (აწყური)	13	3	5	5	16—21	11
„კახეთი“ (ველისციხე)	14	2	0	12	12—31	4

II ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„კოლმეურნე“ (წალენჯიხა)	15	10	3	2	37—12	23
გალის გუნდი	15	9	3	3	31—14	21
„ცისკარა“ (ბათუმი)	15	9	2	4	23—17	20
„კოლხიდა“ (ხობი)	15	7	4	4	22—15	18
„სამგურალი“ (წყალტუბო)	15	6	5	4	21—18	17
„სალხინო“ (გეგეჭკორი)	15	8	0	7	25—22	16
„თოლია“ (ფოთი)	14	6	3	5	15—13	15
„სულორი“ (ვანი)	14	4	6	4	19—22	14
„ჭიხურა“ (საჩხერე)	15	4	5	6	13—21	13
„საირმე“ (მაიაკოვსკი)	14	3	2	9	23—28	8
„დინამო“ (სოხუმი)	13	1	3	9	16—38	5
„დინამო“ (ქუთაისი)	13	1	2	10	12—32	4

ხელახალი სტარტები

ველოსპორტი

ტულის ტრეკზე გაიმართა დანიისა და საბჭოთა კავშირის ველოსიპედისტთა განმეორებითი შეხვედრა. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა გამოდევნებით გუნდური რბოლა 4 კილომეტრზე. ჩვენმა ნაკრებმა დისტანციის გავლას 4.35,3 მოანდომა. სტუმრების შედეგია — 4.44,2.

ჯგუფურ რბოლაში 50 წრეზე პირველი ადგილი დაისაკუთრა დანიელმა ე. იზაკსონმა. მეორე ადგილი წილად ხვდა გამარჯვებულის თანაგუნდელს ე. ლაურსენს, ხოლო მესამე — საბჭოთა ველოსიპედისტს ა. ჩერნოგლაზოვს.

დანიის უძლიერესმა სპრინტერმა პ. პედერსენმა წინა დღით ტრავმა მიიღო. ამიტომ მისი განმეორებითი შეხვედრა ო. ფხაკაძესთან, რომელსაც მაყურებელი დიდი მოუთმენლობით ელოდა, არ შედგა. მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით გაიმართა ვ. ლოგუნოვ—ი. ბოდნიეკსის საჩვენებელი მატჩი. პირველი ცდა მოიგო ლოგუნოვმა. მეორეში წინ ბოდნიეკსი იყო. მესამე, გადამწყვეტ ცდაში, ბოდნიეკსმა ოსტატური ტაქტიკური მანევრით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

თბილისელი მოსწავლე ამარცხებს მაქს ეივეს

ჩვენს ქვეყანაში სტუმრადაა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ჭადრაკში ჰოლანდიელი მაქს ეივე. მან გამართა ერთდროული თამაშის სეანსი სსრ კავშირის მოწინავე ჭაბუკ მოჭადრაკეებთან. თამაშის დროს ჩართული იყო საჭადრაკო საათები.

ექს-ჩემპიონს ძალიან გაუჭირდა. საკმარისია ითქვას, რომ მან მხოლოდ 2 გამარჯვება მოიპოვა და სამ პარტიაში კი ფრეს მიაღწია. ამგვარად, ჭაბუკმა სპორტსმენებმა დიდოსტატთან შეხვედრაში გამარჯვების მოპოვება შეძლეს — 5:4.

საბჭოთა მოჭადრაკეებს შორის იყო თბილისელი მოსწავლე — ელიზბარ უბილავა, იგი თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა საჭადრაკო სკოლის წარმომადგენელია. მან მახვილგონივრულად ჩაატარა პარტია და დაამარცხა კიდეც დიდოსტატი.

ჭადრაკი

პირველი გამარჯვება

ჩოგბურთი

კალინინგრადი, 25 აგვისტო. აქ დაიწყო სსრ კავშირის გუნდური პირველობა ჩოგბურთში. როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტებმა პირველი შეხვედრები მაღალ დონეზე ჩაატარეს და შედარებით ადვილად ძლიეს მეტოქეებს. გასული წლის გუნდურ პირველობაში გამარჯვებული — ესტონეთის გუნდი ტაჯიკეთის ჩოგბურთელებს ხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონების რიგებში არ იყო ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თ. ლეიუსი, რომელიც ბუდაპეშტში უნივერსიადაზე იბრძვის და საკმაო წარმატებითაც, ესტონელებმა ადვილად ძლიეს მოწინააღმდეგეს. მოსკოვმა მოუგო სომხეთს, უკრაინამ — ყირგიზეთს, ბელორუსიამ — ლატვიას. საქართველოს ჩოგბურთელების მეტოქენი ყაზახეთის სპორტსმენები იყვნენ. გაიმარჯვეს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა და ასპარეზობის მომდევნო წრეში გავიდნენ.

●

ტრეკზე გამოდევნებით გუნდური რბოლა ყოველთვის საინტერესოა. გამარჯვებისთვის მებრძოლს არა მარტო სწრაფად მოძრაობა უნდა შეეძლოს, არამედ ტაქტიკური ბრძოლის უნარიც უნდა ჰქონდეს. უპირატესობა ყოველთვის იმ გუნდის მხარესაა, რომელიც ამ მონაცემებით დაჯილდოებული სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული.

სურათზე: რბოლის მომენტი.

ფოტო ე. სოკოლოვისა (საკდესი).

●

დაგვიანებული მონდომება

ხელბურთი

მკითხველმა უკვე იცის, რომ თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელთა გუნდი მასპინძლობდა თავის ძველ ნაცნობს — ლაიპციგის დნფკ-ს. ისიც იცის, რომ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერვედფინალური მატჩი თბილისელებმა სწორედ მათთან, ლაიპციგში წააგეს. გუშინდელი მატჩის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (იგი კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე გაიმართა), იმას ვერ ვიტყვით, რომ თბილისელები რევანშის მოპოვების სურვილით თამაშობდნენ. ეს შეეხება განსაკუთრებით I ტაიმს, როცა ჩვენი გუნდი თავდაცვით ხაზებში ძალზე უსუსურად გამოიყურებოდა, თავისუფალი იყო ჩვენი მეკარის მოედანთან მომიჯნავე ხაზის არე, რის შედეგად იქმნებოდა ღია დერეფნები. გარდა ამისა, ჩვენი მოთამაშენი შეტევაზე გადმოსულ მეტოქეებს ბოლომდე არ მეურვეობდნენ, შეტევიდან ზლაზნევით ბრუნდებოდნენ და დაცვის ორგანიზებას ვერ ასწრებდნენ. ყოველივე ამან გერმანელებს მისცა ფართო მანევრირების საშუალება და შედეგმაც არ დააყოვნა, ტაიმი დამთავრდა მათს სასარგებლოდ — 14:8.

საერთოდ შეხვედრამ ცხადჰყო, რომ გერმანელებს უნარი შესწევთ დაცვაში ითამაშონ მინიმუმამდე დაყვანილი შეცდომებით, პირველ შეტევაში სწრაფნი არიან, კარგად გრძნობენ და შესანიშნავად ათამაშებენ ბურთს. მათ მრავალფეროვან თავდასხმით ვარიანტებში განსაკუთრებით გამოიკვეთებოდა ორი ფლანგით, ერთი ხაზით და სამი გამთამაშებლით მოქმედება.

I ტაიმში თბილისელთა მარცხის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ გუნდში არ იგრძნობოდა კოლექტიური ბრძოლის სულისკვეთება. II ტაიმში კი პირუკუ მოხდა — კოლექტიურმა ძალამ, გამთამაშებლისა (ანთაძის) და მისი პარტნიორების ურთიერთგაგებამ გარკვეული შედეგიც გამოიღო. II ტაიმი თბილისელებმა მოიგეს — 14:9, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა საბოლოო გამარჯვებისთვის და „ბურევესტნიკი“ დამარცხდა ანგარიშით 22:23. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა გვიან გამოიღვიძეს და ახლა მთელი იმედები დღევანდელ განმეორებით მატჩზე უნდა დაამყარონ.

ჯ. ენუქიძე.

იყო დრო, როცა აშშ-ის მძლეოსანთა კავშირი ვერ დაიტრაბახებდა ძლიერი სტაიერებით. მაგრამ ტოკიოს ოლიმპიადისთვის სამზადისმა და თვით თამაშებმა გვიჩვენეს, რომ ამერიკაშიც მოიძებნებიან გრძელ მანძილებზე რბენის მოყვარულნი, რომლებსაც საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენების დამარცხება შეუძლიათ. ვ. მილსი და რ. შიული — აი ისინი, ვინც უკანასკნელ ოლიმპიადაზე აშშ-ს ოქროს მედლები მოუპოვეს ერთმა — 5, მეორემ — 10 კილომეტრზე რბენაში. მას შემდეგ თითქმის წელიწადი გავიდა. თავის ქვეყანაში მათ კონკურენტები ჯერ არ ჰყავთ, ამიტომაც თვითონ უწევენ მეტოქეობას ერთმანეთს — ერთად გამოდიან შეჯიბრებებში, რათა ამ გზით შეინარჩუნონ ფორმა მეხიკამდე.

* * *

სურათზე: მილსი (მარჯვნივ) და შიული ლოს-ანჯელოსში გამართულ ერთ-ერთ ასპარეზობაზე.

რ. კოპა — „დაუვიწყარია VI ჩემპიონატი“

34 წლის რ. კოპა, რომელიც უწინდებურად თამაშობს საფრანგეთის მეორე ლიგის გუნდ „რეიმსში“, მხოლოდ აჩრდილია იმ დიდებული ფეხბურთელისა, რომელიც 1958 წელს მსოფლიოში № 1 ცენტრალურ თავდამსხმელად აღიარეს. იგივე ითქმის მის ოდესღაც სახელოვან გუნდზეც. რატომ თამაშობს აქ კოპა? ამ კითხვაზე მან უპასუხა ჟურნალისტებს. აი რამდენიმე საინტერესო ნაწყვეტი ამ საუბრიდან.

— თქვენ უძლიერეს კლუბებში თამაშობდით. ბევრი ფირმა რეკლამას აწარმოებდა თქვენი სახელით. ნიშნავს ეს რომ თქვენი ცხოვრება უზრუნველყოფილია?

— სამწუხაროდ, არა. ბევრი ქონება მქონდა, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი სასტუმრო და ორი კაფე შემრჩა. დანარჩენი ექიმებმა წაიღეს, მაგრამ ჩემი ვაჟი მაინც ვერ გამოსტაცეს სიკვდილს — მას სისხლის გათეთრება ჰქონდა. ახლა იმიტომ ვთამაშობ, რომ ჩემს ორ ქალიშვილს საშუალება მივცე განათლება მიიღოს.

— რომელი პერიოდი იყო ყველაზე უფრო ნაყოფიერი თქვენს ცხოვრებაში?

— ყველაზე უფრო ძლიერად „რეალში“ ვთამაშობდი, სადაც ჩემი პარტნიორები იყვნენ ჰენტო, პუშკაში, დი სტეფანო და კუბალა, მაგრამ ჩემთვის მაინც დაუვიწყარია მსოფლიოს VI ჩემპიონატი შვეციაში.

— „რეალში“ მკაცრი რეჟიმი იყო?

— არც ისე მკაცრი, როგორც ამბობენ. მწვრთნელი ვილიალონგა მეტად პუნქტუალურია წვრთნის დროს, მინდორზე კი იგი არასოდეს უშლიდა ხელს მოთამაშეებს გამოევლინებინათ თავიანთი ინდივიდუალობა, არ ახშობდა ინიციატივას. საყურადღებოა, რომ ვილიალონგას (რომელიც ახლა ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელია) არასოდეს უთამაშია ფეხბურთი. იგი ფიზკულტურის პროფესორია.

— რას იტყვით საფრანგეთის ნაკრების ახლანდელ მწვრთნელ ა. გერენზე?

— რა უნდა ვთქვა მწვრთნელზე, რომლის გუნდები ადრე რეგულარულად ტოვებდნენ პირველ ლიგას. საფრანგეთის ნაკრებიც არასოდეს ყოფილა ისე სუსტი, როგორც ახლა. იგი დაცვით სისტემას იყენებს, მაგრამ ხეირიანი მცველები არა ჰყავს.

— რას იტყვით იუგოსლავია — საფრანგეთის მომავალ შეხვედრაზე?

— რა თქმა უნდა, ფრანგების მოგება მინდა, მაგრამ, ალბათ იუგოსლაველები გაიმარჯვებენ.

— დაგვისახელეთ სამყაროს საუკეთესო ფეხბურთელი.

— ვერაფერს გეტყვით. ყველა დიდი ფეხბურთელი ჩემი მეგობარია.

— როგორია თქვენის აზრით სამყაროს იდეალური ნაკრები?

— იაშინი, ნ. სანტოსი, შნელინგერი, ქონკე, თავდასხმაში — გარინჩა, პელე, დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო, ნახევარმცველებზე მაჰპირს ლაპარაკი.

— თქვენ?

— მე ასეთ გუნდში მეორე ტაიმს ვითამაშებდი.

ყველას თავისი აზრი აქვს

მილანის „ინტერნაციონალეს“ გამარჯვებამ ლისაბონის „ბენფიკაზე“ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მსოფლიოს სპორტულ პრესაში. კომენტატორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მატჩის ბედი განსაზღვრა იმ გარემოებამ, რომ მილანელები საკუთარ მინდორზე თამაშობდნენ. ფრანგულ ჟურნალ „მირუარ დიუ ფუტბალში“ მკაცრადაა გაკრიტიკებული ევროპის საფეხბურთო ფედერაცია და მილანის „ინტერნაციონალე“. ამ ჟურნალის უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილია მკითხველთა რამდენიმე წერილი ზემოაღნიშნული სტატიის შესახებ. ფრანგი ჟ. კიდორი წერს: „ორი წელია ვარ „მირუარ დიუ ფუტბალის“ მკითხველი. თქვენი აზრი ფრანგული ფეხბურთის შემდგომი განვითარების შესახებ სავსებით სწორია. მაგრამ რატომ აკრიტიკებთ „ინტერს“, მისი ტაქტიკა ხომ ამართლებს? რატომ წერთ, რომ „ბენფიკა“ მასთან შეხვედრაში თავიდანვე განწირული იყო? როდესაც რომელიმე ფრანგულ კლუბს ეყოლება 80.000 გულშემატკივარი, მხოლოდ მაშინ გვექნება უფლება გავაკრიტიკოთ „ინტერი“.

მეორე წერილის ავტორი, იტალიელი ე. კორინტო აღნიშნავს: „თქვენ წერთ, რომ ევროპის ჩემპიონთა თასი „ინტერმა“ შოვინიზმის დახმარებით მოიპოვა. ასეთი სიტყვები არ არის სწორი, ვინაიდან მკითხველები იფიქრებენ, რომ ყველა იტალიელი შოვინისტია. საკუთარი გუნდის გამხნევება და მოწინააღმდეგის სტვენით შეგებება არ არღვევს სპორტულ კანონებს. ეს შოვინიზმი არ არის და ჟურნალისტმა ეს უნდა იცოდეს“.

ამ წერილს „მირუარ დიუ ფუტბალის“ რედაქტორი ფ. ტებო ასე პასუხობს: „იტალიაში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, არიან სპორტის ნამდვილი მოყვარულები. ისინი მიდიან სტადიონზე არა იმიტომ, რომ გაამხნევონ საკუთარი გუნდი და უსტვინონ მეორეს, არამედ იმისთვის, რომ ფეხბურთი ნახონ. სამწუხაროა, რომ მილანის „სანსიროს“ მინდორზე „ინტერნაციონალე“ — „ლივერპულის“ ნახევარფინალური შეხვედრის დროს მაყურებელთა უმრავლესობა აჰყვა ე. ერერას მოწოდებებს და 23-ე მოთამაშედ იქცა. ამას სპორტთან საერთო არაფერი აქვს“.

ეს თამაში საოცრად ჰგავს ჩვენში ფართოდ გავრცელებულ ჩოგანბურთს. აქაც არის ორი მოწინააღმდეგე გუნდი, რომლის წევრები საკონტროლო ხაზს იქით ბურთის გატანას ცდილობენ. არის ჩოგნებიც, თუმცა კონსტრუქციით ისინი საგრძნობლად განსხვავდებიან ქართული ჩოგნისაგან.

ამ თამაშს, რომელიც ძალზე პოპულარულია ავსტრალიაში, უმთავრესად ქალები ეტანებიან. სურათზე თქვენ ხედავთ ავსტრალიის პირველობის გათამაშების ერთ-ერთ მომენტს.

დებიუტი პროფესიულ რინგზე

ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი მძიმე წონის მოკრივეთა შორის, ამერიკელი ზანგი ჯო ფრეზერი პროფესიონალებში გადავიდა. ფილადელფიაში (პენსილვანიის შტატი) მან ჩაატარა პირველი ბრძოლა. ფრეზერი შეხვდა ადგილობრივ მოკრივეს ვ. გორსს. 1 წუთსა და 42 წამში გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა.

აღსანიშნავია, რომ კასიუს კლეიც, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია პროფესიულ რინგზე, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იყო. ეს მაღალი ტიტული მან 1960 წელს რომში მოიპოვა ქვემძიმე წონის სპორტსმენთა ტურნირში.

რედაქტორის მაგიერ
ზ. ჯაფარიძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, **ტელეფონები:** რედაქტორი — 9-56-14, პასუხისმგებელი მდივანი — 9-56-47, სამდივნო — 3-95-30, სპორტული განყოფილება — 3-95-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

[illegible]

სისხლისღვრა აუზში

ავსტრალიის ქალაქ პერტში მიმდინარეობდა წყალბურთელთა მატჩი. უცბად ერთმა მოთამაშემ საზარელი ყვირილით დასტოვა აუზი. მას საცურაო ტრუსი დახეული ჰქონდა და თანაც ფეხიდან სისხლიც სდიოდა. აქვე მეორე წყალბურთელმა დაიღრიალა საშინლად და ამოვარდა წყლიდან. თამაში შეწყდა. როცა დანარჩენი სპორტსმენებიც ამოვიდნენ აუზიდან, ყოველმა მათგანმა საკუთარ ტანზე სხვადასხვა სახის ჭრილობა და ნაკაწრი აღმოაჩინა. გაცხარებულ სპორტულ ბრძოლაში ზოგმა ვერ შენიშნა დაშავება, ზოგს კი ეგონა, რომ მათ წყალში ჩაყურყუმალავებული მეტოქეები კბენდნენ და ცდილობდნენ მოხერხებულ შემთხვევაში მათთვის სამაგიერო გადაეხადათ. მაგრამ ამჯერად წყალბურთელები არ იყვნენ დამნაშავენი. აუზის გულმოდგინედ შემოწმებისას მსაჯებმა აღმოაჩინეს... ნიანგი. ეტყობა, ადგილობრივი ზოოპარკის რომელიღაც მუშაკმა გახუმრება გადაწყვიტა. „სიმშვიდის დამრღვევი“ სასწრაფოდ დააბრუნეს მისთვის განკუთვნილ საცხოვრებელ ადგილას, სისხლისღვრის „ორგანიზატორი“ კი პოლიციას დღემდე ვერ მოუძებნია.

თავზეხელაღებული იახტსმენი

48 წლის ამერიკელმა ჟურნალისტმა რ. ბენრიმ 4-მეტრიანი იახტით ატლანტიკის ოკეანე გადაცურა (3200 მილი, ანუ 5140 კილომეტრი). ამ სახიფათო მოგზაურობაში მან 79 დღე დაჰყო. ინგლისის ნაპირზე ქალაქ ფალმუტას ნაპირებთან თავზეხელაღებულ იახტსმენს დახვდნენ მეუღლე და გაზეთ „კლივლენდ პლეინ დილერის“ წარმომადგენელი.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11978